საქართველოს სპორტსმენთა წარმატება

ოქროს მედალი რესპუბლიკური რეკორდით!

მოსკოვში, ლუჟნიკის საცურაო აუზში, მიმდინარეობს სსრ კავშირის მოცურავეთა ჩემპიონატი. ასპარეზობაში 36 ცენტრის 435 ოსტატი მონაწილეობს, მათ შორისაა ოლიმპიური თამაშების 6 ჩემპიონი.

ეს შეჯიბრება და სსრ კავშირ—აშშ-ის მოცურავეთა სამატჩო შეხვედრა, რომელიც აგვისტოში გაიმართება კიევში, მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის ნაკრების დაკომპლექტებას ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობისათვის.

ასპარეზობის პირველ დღეს 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში შესანიშნავად გამოვიდა **თბილისელი ირინე გერასიმოვა („განთიადი“), რომელმაც ყველა მეტოქე ჩამოიტოვა და სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიხვეჭა. მისი შედეგი — 58,44 საქართველოს რეკორდია.**

ვაჟთა შორის ამ სახეობაში უძლიერესი იყო მოსკოველი ს. სმირიაგინი — 51,89. 200 მეტრზე ქალთა შორის ბატერფლაით ცურვაში გაიმარჯვა მოსკოველმა ნ. პოკასმა — 2.15,71, ხოლო ვაჟთა შორის — უკრაინელმა ს. ფესენკომ — 2.02,60. 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ლ. გორჩაკოვა (რსფსრ) — 2.18,63, ვაჟებში ვ. შემეტოვი (ლენინგრადი) — 2.03,87.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის ჩემპიონი 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ი. გერასიმოვა.

იგორ კოსმინინი ჩემპიონია

საბჭოთა სპორტსმენებმა გამარჯვებები მოიპოვეს პნევმატური იარაღის სროლაში სანტო დომინგოს სასროლეთზე გამართულ მეორე მსოფლიო ჩემპიონატში. შეჯიბრებაში 33 ქვეყნის გუნდები მონაწილეობდნენ. დონის როსტოველმა ს. კომარისტოვამ შაშხანით 381 ქულა მოაგროვა და ჩემპიონი გახდა. პისტოლეტით სროლაში უძლიერესი იყო ლვოველი მ. კალენინა — 380. „ტახზე“ მონადირეებმა ი. კადენეცმა (მოსკოვის ოლქი, 380), მ ოსკოველმა ა. ტირეხინმა (379) და ვოროშილოვგრადელმა ი. მონაშკოვმა (370) ყველა საპრიზო ადგილი დაიკავეს.

შაშხანით ვაჟთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო [illegible] ვ. [illegible]სი, რომელმაც 600-დან 575 ქულა მოაგროვა. [illegible] წარმატებას მიაღწია ამერიკელმა დ. რომანბორგმა — 580.

იუნიორთა ასპარეზობაში ჩემპიონი გახდა თბილისელი ი. კოსმინინი („განთიადი“). მან პისტოლეტით 379 ქულას მოუყარა თავი, შაშხანით კი უძლიერესი იყო მოსკოველი ი. ზავოლოდკო — 378. გოგონათა შორის ამ იარაღით შეჯიბრებაში ჩემპიონი გახდა მ. კუზნეცოვა (მოსკოვი) — 372.

სულ მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს 6 ოქროს, 1 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი, ამერიკელებმა — შესაბამისად 4, 2 და 1.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 158
(6969)
15
1981 წ
აგვისტო,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

ვისწავლოთ,
ვისწავლოთ,
ვისწავლოთ
ცურვა!

საქართველოს პროფკავშირთა საბრძოლო დათვალიერება

1982 წლის 28 იანვარს გაიხსნება საქართველოს პროფესიული კავშირების XVII ყრილობა. დადგენილება რესპუბლიკის პროფკავშირთა ფორუმის მოწვევის შესახებ მიიღო საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმმა.

მომხსენებელმა — რესპუბლიკის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ **თ. ი. მოსაშვილმა**, კამათის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ საქართველოს პროფკავშირთა მომავალი ყრილობა და საანგარიშო-საარჩევნო კამპანია გაიმართება პერიოდში, როცა ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო გაძლიერდება საყოველთაო-სახალხო ბრძოლა სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, თავისი მასშტაბით გრანდიოზული მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების განსახორციელებლად.

გასულ წლებში რესპუბლიკის პროფკავშირების წევრთა რაოდენობა 500 ათასით გაიზარდა და ამჟამად დაახლოებით ორ მილიონ-ნახევარს შეადგენს. დღეს რესპუბლიკის პროფკავშირები თავის რიგებში აერთიანებს პრაქტიკულად ყველა მშრომელს — მუშებს, კოლმეურნეებს, მოსამსახურეებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

ახლა საქართველოს პროფკავშირულ ორგანიზაციებში იწყება ანგარიშგება-არჩევნები. ეს იქნება ყველა პროფკავშირული მუშაკისა და აქტივისტის პოლიტიკური სიმწიფისა და საქმიანი თვისებების თავისებური შემოწმება, საბრძოლო დათვალიერება.

ამიტომ საჭიროა გულდასმით და ყოველმხრივ განვაზოგადოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებისათვის, რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური, სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაში პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის გამოცდილება, ღრმად გავაანალიზოთ პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის პროფკავშირული ორგანოების მუშაობის პრაქტიკა.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანია პირველადს ორგანიზაციებში დაიწყება პროფკავშირული ჯგუფების კრებებით, ასეთი პროფკავშირული ჯგუფი კი ამჟამად რესპუბლიკაში 48 ათასზე მეტია. თითქმის ერთდროულად გაიმართება საამქრო კომიტეტებისა და პროფბიუროების ანგარიშგება-არჩევნები, რომელთა რიცხვმა 17 ათასს გადააჭარბა.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს ყოველმხრივ უნდა გავაანალიზოთ, თუ რა მუშაობა გასწიეს პროფკავშირებმა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის გადაწყვეტისათვის, რესპუბლიკის მშრომელები უნდა დავირაზმოთ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე, უნდა გააძლიერონ საქმიანობა სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის ამაღლებისათვის, უფრო აქტიურად შეუწყონ ხელი პატრიოტულ წამოწყებათა გავრცელებას, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მომზადებას მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასასვლელად.

პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს, აგრეთვე საკითხი, თუ რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს საქართველოს პროფკავშირების მუშაობა მშრომელთა წერილებსა და წინადადებებზე სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მომხსენებელმა — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა **ზ. ა. კვაჭაძემ**, კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მშრომელთა წერილებისა და განცხადებების რიცხვი, რომლებშიც წამოჭრილია მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო პრობლემები, წამოყენებულია საქმიანი, კონკრეტული წინადადებანი, მოცემულია პრაქტიკული რჩევა-დარიგებანი, რომელთა მიზანია წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება. ამავე დროს შეინიშნება შრომითი კანონმდებლობის დარღვევის, მშრომელთა კონსტიტუციურ უფლებათა შელახვის გამო საჩივრების რაოდენობის შემცირების გარკვეული ტენდენცია.

პლენუმზე აღინიშნა, რომ უშუალოდ საქართველოს პროფსაბჭოში სულ უფრო მეტი წერილი რჩება მათში აღძრული საკითხების შესწავლისა და გადაწყვეტისათვის.

ამასთან ნაკლოვანებებიც გვაქვს მშრომელთა წერილებზე და საჩივრებზე მუშაობაში. კერძოდ, ყოველთვის ვერ ვიჩენთ საჭირო პრინციპულობას იმ პირთა მიმართ, ვინც აჭიანურებს მშრომელთა წერილებისა და ზეპირი მიმართვის განხილვას. ზოგჯერ ირღვევა მოქალაქეთა მიღების დადგენილი წესიც, ხშირია ფორმალური და ბიუროკრატიული პასუხის შემთხვევები.

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება. (საქინფორმი).

დროს ნუ დავკარგავთ!

ზაფხული გვიხმობს, გვიხმობს სუფთა ჰაერი, მზე და, რა თქმა უნდა, წყალი. მაგრამ ბევრია ცურვის უცოდინარი, ზაფხულის ცხელი დღეები კი ამ ნაკლის გამოსასწორებლად შესანიშნავი დროა.

ჯერ კიდევ საზაფხულო არდადეგების დღეებია, ბევრნი ისვენებენ ზღვის, ტბებისა და მდინარეების პირას, ბევრი დამოუკიდებლად სწავლობს ცურვას და სწორედ მათთვისაა გამიზნული ჩვენი წერილების სერია „პრობლემა, რომელიც დახანებას არ ითმენს“. ამ სერიის გამოქვეყნება „ლელომ“ შარშან დაიწყო. პირველ წერილში ვწერდით ცურვის მნიშვნელობაზე, როგორც გარკვეულ შემთხვევებში სიცოცხლის შენარჩუნებისა და ჯანმრთელობის გაკაჟების უებარ საშუალებაზე. იმასაც აღვნიშნავდით, რომ საცურაო ბაზების სიმცირის გამო ყველას არ შეუძლია აუზზე იაროს, მათ ვურჩევდით ზღვაზე, ტბებზე, წყალსაცავებზე თუ მდინარეებზე შეესწავლათ ცურვა დამოუკიდებლად.

ზაფხულში მარტო საცურაო აუზების იმედზე რომ არ უნდა ვყოფილიყავით, ეს ჩვენი რედაქციისა და რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ამასწინანდელმა რეიდმაც დაადასტურა. გაირკვა, რომ თბილისში ერთადერთი აუზი — ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი მუშაობდა ნორმალურად. სხვაგან ან წყალი არ იყო, ან, თუ იყო, არაფერი კეთდებოდა ცურვის მასობრივად შესწავლისთვის.

ამ პრობლემის ირგვლივ „ლელოს“ ფურცლებზე ბევრი სხვა წერილიც გამოქვეყნდა, მათ შორის სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ლ. იოაკიმიდის სტატია.

ეს ყველაფერი მით უფრო სამწუხაროა, რომ არსებობს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტროსა და საკავშირო სპორტკომიტეტის დადგენილება მასობრივად ცურვის შესწავლის თაობაზე და აქედან გამომდინარე საქართველოს შესაბამისი ორგანიზაციების გადაწყვეტილებანი.

მაგრამ ბევრისთვის დადგენილება ქაღალდს არ სცილდება, მდგომარეობის გამოსწორებამდე კი მკითხველს ვურჩევთ კვლავ ჩვენი გაკვეთილებით ისარგებლოს და დამოუკიდებლად ისწავლოს ცურვა. ერთ ასეთ გაკვეთილს დღეს ვთავაზობთ მკითხველს (იხ. მე-2 გვ).

...ზაფხული გვიხმობს, ზაფხული გვეძახის, გვიხმობს სუფთა ჰაერი, მზე და, რა თქმა უნდა, წყალი, მაგრამ ცურვა ჯერ კიდევ ბევრმა არ იცის. ზაფხულის ცხელი დღეები ამ ნაკლის გამოსასწორებლად შესანიშნავი დროა. ნუ დავკარგავთ ამ დროს!

● ჭადრაკი

მეგობრობის მარშრუტებით

სულ უფრო მტკიცდება სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მეგობრული, კულტურული და სპორტული კავშირები. მათი დელეგაციები სტუმრად ჩადიან ერთმანეთთან, უზიარებენ და უჩვენებენ თავიანთ ხელოვნებას. საბჭოთა კულტურის დელეგაციების შემადგენლობაში ხშირად არიან გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკე ქალებიც.

ამას წინათ დიდოსტატი ნ. იოსელიანი ფინეთში ახლდა საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციას. იგი შეხვდა ფინელ მოჭადრაკეებს, ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსები.

ორიოდე დღის წინ საბჭოთა კულტურის დელეგაციის შემადგენლობაში დანიაში გაემგზავრა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი. აქ იგი მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კულტურის დღეებში, შემდეგ კი გაემგზავრება გფრ-ში, სადაც გამართავს ერთდროული თამაშის სეანსებს.

დიდოსტატი ნ. გურიელი გაემგზავრა კოლუმბიაში საკავშირო კომკავშირის ახალგაზრდული დელეგაციის შემადგენლობაში. ის კოლუმბიელ მოჭადრაკეებს მოუთხრობს საბჭოთა, კერძოდ, ქართული ჭადრაკის წარმატებებზე.

უძლიერესი—პირველად

● შაში

რიგის ი. რაინისის სახელობის აკადემიურ თეატრში დამთავრდა ქალთა მსოფლიოს VII ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში.

უძლიერესის სახელი მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონმა ოლგა ლევინამ. ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ მინსკელი მოშაშეები — 17 წლის ი. პაშკევიჩი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ლ. სოხნენკო.

აი, როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა ფინიშზე.

VII ტურში ლევინამ სძლია პოლონელ ა. დემბსკას, პაშკევიჩმა — ბელგიელ ლ. ვერჰეინს. ყაიმით დამთავრდა შეხვედრები სოხნენკო — ი. ნიუვენჰოიზენი (ჰოლანდია), ე. ალტშული (მინსკი) — კ. ბიუტერი (ჰოლანდია) და რ. ვიტკაუსკაიტე (ვილნიუსი) — ე. სამოფილოვა (ისრაელი). VIII ტურში ლევინამ დაამარცხა ბიუტერი, სოხნენკომ — სამოფილოვა, პაშკევიჩმა — დემბსკა და ვიტკაუსკაიტემ — ვერჰეინი. დაზავდნენ ალტშული — ნიუვენჰოიზენი.

IX ტურში ლევინას, იმისათვის, რომ ჩემპიონი გამხდარიყო, მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს და მან სძლია ნიუვენჰოიზენს. პარტიები მოიგეს, აგრეთვე, პაშკევიჩმა ბიუტერთან, სოხნენკომ — ვერჰეინთან, ვიტკაუსკაიტემ — დემბსკასთან და ალტშულმა — სამოფილოვასთან.

ო. ლევინა („ავანგარდი“, ხარკოვი) 21 წლისაა. იგი მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონია (მანამდე უძლიერესნი იყვნენ საბჭოთა მოშაშენი ე. მიხაილოვსკაია, ლ. სოხნენკო, ე. ალტშული). 14 წლისა გახდა პირველთანრიგოსანი, 15-სა —ოსტატობის კანდიდატი, 17-ის— სპორტის ოსტატი.

დღეს მოსკოვში იწყება რეგბისტთა საერთაშორისო ტურნირი სსრ კავშირის რეგბის ფედერაციის პრიზზე.

უკანასკნელ საათს!

ასპარეზობაში ჩაებმებიან ჩვენი ქვეყნის 2 ნაკრები, იუგოსლავიის შვიდგზის ჩემპიონი „დინამო“ ქალაქ პანჩევოდან, იაპონიის ნაკრები „ნიპონ სტილი“, იტალიის უნივერსიტეტების ნაკრები და პოლონეთის ნაკრები გუნდები.

● რეგბი

ცურვა ერთიდან ას წლამდე

პრობლემა, რომელიც დახანებას არ ითმენს

ბრასის ტექნიკა

ვფიქრობთ, ჩვენს წინა წერილში ცურვის შესწავლის მსურველთ ვრცლად გავაცანით ბრასის გამოყენებითი მნიშვნელობა. დღეს საუბარი გვექნება იმაზე, თუ როგორ დავეუფლოთ ამ სტილით ცურვას.

ახალბედებისთვის ბრასის სტილის დაუფლება ერთგვარად ძნელია, ვინაიდან ცურვის ამ სახეობაში ყოველგვარი მოძრაობა მკაცრად სიმეტრიული და შეთანხმებულია. ბრასის სტილით ცურვისას კოორდინაციის დაცვა ხშირ შემთხვევაში თანრიგოსან კროლისტებსაც უჭირთ. თუმცა, ზოგიერთი ახალბედა მოცურავე ბრასს უფრო მალე აუღებს ალღოს, ვიდრე კროლს. ასეა თუ ისე, ვისაც სურს წყალში თევზივით გრძნობდეს თავს, მან კროლთან ერთად ბრასის სტილით ცურვაც უნდა შეისწავლოს.

მეცადინეობის დაწყება უმჯობესია ფეხების მოძრაობის შესწავლით დაიწყოთ. იმისთვის, რომ მოძრაობას თვალი ადევნოთ და კარგად დაიმახსოვროთ, ყოველგვარი ვარჯიში ჯერ ხმელეთზე უნდა ჩაატაროთ. როცა დარწმუნდებით, რომ მოძრაობას სწორად ასრულებთ, ვარჯიში შეიძლება წყალში განაგრძოთ.

ფეხების ვარჯიში

სავარჯიშოდ საჭიროა 30-40 სმ სიღრმის წყალში ჩახვიდეთ, ფსკერზე დაჯდეთ და უკან გადაიხაროთ. ხელებით ზურგს უკან, ფსკერს დაეყრდნოთ, ფეხები კი გამართოთ. გამართული უნდა იყოს ტერფებიც. მოძრაობა ფეხების მოზიდვით იწყება. მოზიდვისას ფეხები მუხლებში იხრება. მოხრის მომენტში მუხლები თანდათან შორდება ერთმანეთს და მოზიდვის დასასრულს დაახლოებით მხრების ხაზს გაუსწორდება. ამავე მომენტში ტერფები განზე იხრება. ამის შემდეგ ფეხები მძლავრად უბიძგებს წყალს და საწყის მდგომარეობას უბრუნდება. ფეხების ბიძგი ნახევარწრიულია.

— ფეხების მოძრაობის მთელი ციკლი პირველ ნახატზე თვალნათლივაა ნაჩვენები.

როცა დარწმუნდებით, რომ ფეხების მოძრაობას სწორად ასრულებთ, იმავე სიღრმის წყალში პირქვე გადაბრუნდით, ხელებით ფსკერს დაეყრდენით (იხ. ნახ. № 2), თავი წყლის ზედაპირზე დაიჭირეთ ისე, რომ ნიკაპი ოდნავ ეხებოდეს წყალს და იგივე ვარჯიში შეასრულეთ.

ამ ვარჯიშის შემდეგ შეიძლება გულაღმა ბრასით ცურვა დაიწყოთ, ოღონდ ხელები უმოძრაოდ, სხეულის გასწვრივ უნდა იყოს ისე, როგორც ეს მე-3 ნახატზეა ნაჩვენები. ამგვარი ვარჯიში იმისთვისაა საჭირო, რომ ცურვისას ფეხების სწორ მოძრაობას თვალი ადევნოთ.

ფეხების ვარჯიშში დიდად შეგიწყობთ ხელს დაფით ცურვა (იხ. მე-4 ნახატი). ამგვარად სისტემატურად უნდა ივარჯიშოს როგორც ახალბედა, ისე მაღალკვალიფიციურმა მოცურავემ.

ჩვენ წინა წერილში აღვნიშნეთ, რომ ბრასის სტილით ცურვა ცურვის ყველაზე ნელი სახეობაა. ეს უპირველეს ყოვლისა ფეხების მოხრის მომენტში დამამუხრუჭებელი ძალის წარმოქმნით აიხსნება, რასაც წყლის შემხვედრი დინება წარმოშობს. ამაში პირველსავე ვარჯიშზე დარწმუნდებით.



ნახ. 2.



ნახ. 3.



ნახ. 1.

●●

ამიტომ, ცურვისას უნდა ეცადოთ, რომ ფეხების მოხრისთანავე პაუზის გარეშე გააკეთოთ მოსმა. იმავე დროს, უნდა ეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლებად წარმოშვათ დამამუხრუჭებელი ძალა.

ხელების მოძრაობა

ჩადით წელამდე წყალში, წელში მოიხარეთ და ხელები წინ წყლის ზედაპირიდან ოდნავ ქვემოთ გამართეთ. ნიკაპი ოდნავ უნდა ეხებოდეს წყალს. ეს საწყისი მდგომარეობაა. იმისთვის, რომ ფსკერზე მყარად იდგეთ, ფეხები მხრების სიგანეზე გაშალეთ. ამის მერე ხელების მოსმა სინქრონულად იწყება ჯერ განზე, მერე თანდათან ქვემოთ, საკუთარი სხეულისკენ. როცა ხელები მხრების ხაზს გაუსწორდება, იდაყვებში მოხარეთ. ხელის მტევნები ერთმანეთს მკერდთან მაშინ უნდა შეხვდნენ, როცა მკერდსა და მტევნებს შორის მანძილი დაახლოებით 15-20 სანტიმეტრი იქნება. ამ დროს ხელის გულები ერთმანეთისკენაა მიმართული. ამის მერე მტევნების მოძრაობა გრძელდება ნიკაპისკენ, ბოლოს კი საწყის მდგომარეობას უბრუნდება.

იგივე ვარჯიში შეასრულეთ წყალში სახეჩაშვებულებმა, რათა თვალი ადევნოთ ხელების სწორ მოძრაობას. ვარჯიში ჯერ ნელა სრულდება, შემდეგ სწრაფად.

საერთოდ, ცურვისას ხელების მოძრაობა თავდაპირველად შედარებით ნელა იწყება, შემდეგ კი თანდათანობით ჩქარდება და კულმინაციას ხელების მოსმის დასასრულს აღწევს. ხელების მოძრაობა სწორი იქნება, თუ იგი მოსმისას წყალს კარგად „ჩაეჭიდა“ და ამის შედეგად წინ წაიწევთ. ხელების სწორი მოძრაობისას ძნელია წყლის ფსკერზე მყარად დგომა, ამიტომ შეიძლება ყოველ მოძრაობაზე თითო ნაბიჯი გადადგათ.

ხელების მოძრაობა ბრასის სტილით ცურვის მთლიან კოორდინაციასთან ერთად ნაჩვენებია მე-5 ნახატზე.

სუნთქვა და კოორდინაცია

ბრასის სტილის ათვისებაში ხელ-ფეხის მოძრაობისა და სუნთქვის შერწყმა ყველაზე შრომატევადი ვარჯიშია. ერთ-ერთი კომპონენტის არასწორი ან არადროული შესრულება მოძრაობის მთელი სქემის დარღვევას იწვევს.

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, თანამედროვე ბრასის ტექნიკა ბევრი ინდივიდუალური თავისებურებით ხასიათდება. სპეციალისტები იმასაც ამბობენ, რომ დღეს ბრასის იმდენი ტექნიკური ვარიანტი არსებობს, რამდენიც კარგი მოცურავეაო. ეს სიმრავლე ძირითადად სუნთქვისა და მოძრაობათა კოორდინაციის მრავალფეროვნებით აიხსნება.

ახლა განვიხილავთ ეგრეთწოდებულ კლასიკურ ბრასს, რომელიც ყველაზე იოლი ასათვისებელია.

მოცურავე საწყის მდგომარეობაში თავდაპირველად ხელებს ამოძრავებს. მოსმის დაწყებისთანავე იგი ჩასუნთქვას იწყებს. ხელები საკუთარი სხეულისკენ ნაკლებად მიიწევს, ამასთანავე ნაკლებად იხრება იდაყვებში.

კლასიკური ბრასით ცურვისას ხელები დიდ როლს არ თამაშობს გადაადგილებაში. მთავარი მამოძრავებელი ძალა ფეხების მოძრაობაა.

დღეს ბრასისტები ფართოდ იყენებენ დაგვიანებულ ჩასუნთქვას. ამგვარი ხერხი პირველად საბჭოთა მოცურავეებმა იხმარეს და უცხოელებმა მას „რუსული სტილი“ უწოდეს. „რუსულმა სტილმა“ გაამართლა. მისი დამკვიდრების შემდეგ ბრასი საკმაოდ სწრაფი გახდა.

ამგვარი ცურვის ტექნიკის მთლიანი კომპლექსი მე-5 ნახატზეა მოცემული.

ზემოთ, როცა ხელების მოძრაობაზე გვქონდა საუბარი, იმგვარი მოსმა სწორედ დაგვიანებული ჩასუნთქვით ცურვისას გამოიყენება. ბრასით ცურვისას თავი შუბლამდე წყალშია ჩაშვებული, ამ დროს სხეული ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია, რაც საშუალებას იძლევა ხელების მოძრაობა გაცილებით მძლავრი და ეფექტური გახდეს. თავი მხოლოდ მაშინ ამოდის მაღლა, როცა ხელები მოსმას დაამთავრებს. სწორედ ამ მომენტს ემთხვევა ჩასუნთქვა და ფეხების მოზიდვა. ეს მომენტი მე-5 ნახატის მე-4 მოძრაობაზეა ნაჩვენები. ჩასუნთქვის დამთავრება ფეხების მოზიდვის დასასრულს ემთხვევა, ამის შემდეგ ფეხები სწრაფად აკეთებს ბიძგს, თავი კვლავ წყალში ეშვება და ხელები საწყის მდგომარეობას უბრუნდება.

ნელი ცურვისას გაცილებით ხანგრძლივია სრიალი. მოძრაობათა მომდევნო ციკლი იმ დროს იწყება, ვიდრე სრიალი შესამჩნევად არ დაკარგავს ტემპს. წინააღმდეგ შემთხვევაში ინერციის ალება თავიდან მოგიხდებათ.



ნახ. 5.

ამგვარი ცურვა კლასიკურ ბრასთან შედარებით ძნელი ასათვისებელია, მაგრამ არც ისე ძნელი, რომ შეკრთეთ და იმთავითვე არ იზრუნოთ „სწრაფი ბრასის“ ასათვისებლად.

როცა ამგვარ ცურვას ისწავლით, აი, სწორედ მაშინ იგრძნობთ თავს



ნახ. 4.

●●

როგორც თევზი წყალში.

თანამედროვე სპორტული ცურვის პრაქტიკაში წარმატებით იყენებენ ბრასის იმ ვარიანტს, რომელსაც არ გააჩნია ციკლებს შორის პაუზა. მაგალითად, ბრასისტები სისწრაფის მოსამატებლად, დაამთავრებენ თუ არა ფეხების მოძრაობას, უმალ ხელებით იწყებენ მოსმას. ხშირად ფეხების მოძრაობა დამთავრებული არ არის და უკვე ხელები იწყებენ მოსმას. ბევრი ბრასისტი ხელების მოძრაობის დამთავრებამდე ფეხების მოზიდვას იწყებს. ამგვარი ცურვისას ფეხების ბიძგი ხელების საწყის მდგომარეობაში დაბრუნებას ემთხვევა.

ციკლებს შორის პაუზის გარეშე ცურვა ტექნიკურად რთული შესასრულებელია და მხოლოდ მაღალკვალიფიციურ მოცურავეებს ძალუძთ.

ა. გურასაშვილი.

გვეკითხებიან — ვუპასუხებთ

ახალი სახეობა — სპორტული ორიენტირება

ძვირფასო რედაქციავ!

ბოლო ხანებში სპორტულ პრესაში სულ უფრო ხშირად იბეჭდება სხვადასხვა ხასიათის მასალები სპორტულ ორიენტირებაზე. იქნებ მოგვითხროთ ამ სახეობაზე და გაგვაცნოთ მისი პერსპექტივები ჩვენში.

მ. ნამიჭეიშვილი,
ინჟინერი.

●

სპორტული ორიენტირება ახალგაზრდა სახეობაა. იგი მტკიცედ დამკვიდრდა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებათა კალენდარში, ჩართულია მშთ-ს ახალი კომპლექსის ნორმატივებში, ფართოდ გამოიყენება ტურისტების მომზადებაში, საკავშირო სამხედრო-სპორტული თამაშების — „ზარნიცას“ პროგრამაშიც შედის და სამსახურებრივი მილიციისა და რადისტების მრავალჭიდშიც.

შეჯიბრებაში წარმატების გადამწყვეტი პირობაა მონაწილის ჩქარი, ანალიტიკური და ზუსტი აზროვნება.

სპორტულ ორიენტირებაში ასპარეზობის არსია გავლა საკონტროლო პუნქტებისა, რომლებიც განლაგებულია ტრასაზე ნებისმიერად ან მოცემული თანმიმდევრობით. სპორტსმენის ძირითადი ხელსაწყოებია რუკა და კომპასი. შეჯიბრების სახეებია: ორიენტირება მოცემული მიმართულებით; ორიენტირება საკონტროლო პუნქტების არჩევით; ორიენტირება მონიშნული ტრასითა და ესტაფეტა მოცემული მიმართულებით.

სპორტული ორიენტირება წარმოადგენს აქტიური დასვენების შესანიშნავ ფორმას. მის სამშობლოდ ითვლება ნორვეგია. შემდეგ ეს სახეობა გავრცელდა სკანდინავიის ქვეყნებში და აქედან — ევროპაში. ორიენტირებამ განსაკუთრებით ფართოდ მოიკიდა ფეხი ჩვენი საუკუნის 60-70-იან წლებში. 1961 წელს შეიქმნა ორიენტირების საერთაშორისო ფედერაცია (იოფი), რომლის კონგრესებზე უდიდესი ყურადღება ეთმობა სპორტის ამ სახეობის მომავალს: იხილავენ ორიენტირების პროპაგანდის, კადრების მომზადების, რუკის ერთიანი ფორმის გამომუშავებისა და სხვა საკითხებს.

საბჭოთა კავშირში სპორტულმა ორიენტირებამ ოფიციალური აღიარება ჰპოვა 1963 წლიდან, როცა უჟგოროდთან ჩატარდა პირველი საკავშირო შეჯიბრება. მას შემდეგ რუკითა და კომპასით რბენის მოყვარულებმა ჩვენში თითქმის მილიონს მიაღწია, ამ დღეებში კი ვიბორგის მიდამოებში გაიმართა პირველი საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

ბოლო დროს ორიენტირება აქტიურად ვითარდება რსფსრ-ში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში... ამ სახეობის შეჯიბრებებში ასობით კვალიფიციური და დამწყები სპორტსმენი მონაწილეობს. ჩვენს ქვეყანაში რეგულარულად ეწყობა საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკური, ზაფხულისა და ზამთრის პირველობები, უმაღლესი სასწავლებლებისა და სპორტული საზოგადოებების ტურნირები.

ჩვენს რესპუბლიკაში სპორტული ორიენტირების ფედერაცია 1979 წლის სექტემბერში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ინიციატივით ჩამოყალიბდა. სპორტის ამ სახეობაში ჩვენთან აქამდე ეწყობოდა უმთავრესად ადგილობრივი ხასიათის ღონისძიებები, რომლებშიც მცირერიცხოვანი ჯგუფები მონაწილეობდნენ. ამიერიდან მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, თუმცა რესპუბლიკის ბევრ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში დღემდე არ არის შექმნილი ორიენტირების სექციები, რომლებიც მთელი წლის მანძილზე იმუშავებენ.

რესპუბლიკურმა ფედერაციამ სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარების მიზნით დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი.

ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარება ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს წარმოადგენს. სკკპ პროგრამაში ისინი განიხილებიან, როგორც საბჭოთა ადამიანების აღზრდის, მათი ფიზიკურად და სულიერად ჰარმონიულად განვითარების მნიშვნელოვანი საშუალებანი. სპორტული ორიენტირება კი სპორტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ამიტომაც მისი ფართო დანერგვა ხელს შეუწყობს მოსახლეობის შემდგომ გაჯანსაღებას.

ვ. ჩეკურიშვილი,
საქართველოს სპორტული ორიენტირების ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ორი ქულა ტაშკენტიდან

ტაშკენტი. ცენტრალური სტადიონი. 13 აგვისტო.

„ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (თბილისი) 0:1 (0:1).

„ფახთაქორი“: იანოვსკი, ბაიმეტოვი, ბელიალოვი, პაკი, დენისოვი, ამრიევი, ოგაი (კაბაევი), იაკუბიკი, სემენკო, ნოვიკოვი (პოვოლიაევი), კუხლევსკი.

„დინამო“: გაბელია, სვანაძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე (მელიქია), დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი — ა. შევჩენკო (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:2. დინამოელთაგან ორივე ბურთი გაიტანა ცავამ.

მატჩს დაესწრო 11 ათასი მაყურებელი.

შეხვედრის დაწყების წინ სტადიონზე საზეიმო გაცილება მოუწყეს სპორტის ოსტატ ზ. წერეთელს, რომელიც წინა წლებში თამაშობდა სწორედ თბილისის „დინამოში“ და ტაშკენტის „ფახთაქორში“.

თამაში დაიწყო სტუმართა იერიშით, მე-8 წუთზე მათ გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, სვანაძემ მარჯვენა ფრთაზე გადასცა ბურთი გუცაევს, მან კარის წინ ჩააწოდა და აქ ბურთთან ყველაზე უფრო სწრაფად აღმოჩნდა შენგელია — 1:0.

ტაშკენტელებმა რამდენიმე საპასუხო იერიში წარმართეს, აქტიურობდნენ ნახევარმცველები, ერთ-ერთ მომენტში კარგი შესაძლებლობა მიეცა იაკუბიკს. დინამოელები ერთხანს წარმატებით იცავდნენ კარის მისადგომებს, შემდეგ კი თამაში გათანაბრდა და თანდათან მასპინძელთა მხარესაც გადაინაცვლა.

მეორე ტაიმის დასაწყისში თბილისელები საკმაოდ ხანგრძლივად უტევდნენ, შემდეგ თამაშში სრული დატვირთვით ჩაება „დინამოს“ დაცვა და მეკარე გაბელია, ძელს მოახვედრა ბურთი იაკუბიკმა.

მატჩის დასასრულს დინამოელებმა არაერთი სახიფათო მდგომარეობა შექმნეს ტაშკენტელთა კართან, სადაც მცველებს ხშირად ეხმარებოდნენ წინა ხაზების მოთამაშეებიც. ერთ-ერთ მომენტში თავისი კარი გადაარჩინა მეკარე იანოვსკიმ, რომელმაც შეძლო შენგელიას მეტად სახიფათო ბურთის მოგერიება.

თბილისის „დინამომ“ წარმატებით დაამთავრა მატჩი და მორიგ, მეოთხე გამარჯვებას მიაღწია სტუმრად.

●

უმაღლესი ლიგა

13 აგვისტოს შედგა სსრ კავშირის 44-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის კალენდარული მატჩები. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები:

„სპარტაკი“ — „დინამო“ მნ. 1:0

„შახტიორი“ — „ტორპედო“ 1:1

„დნეპრი“ — ცსკა 2:1

„ქაირათი“ — „არარატი“ 2:1

ასკ რ. — „ტავრია“ 3:0

„ნეფთჩი“ — „ყუბანი“ 2:1

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ კ.	22	16	6	0	37—10	38
„სპარტაკი“	24	16	3	5	55—27	35
„დინ.“ თბ.	23	11	7	5	41—23	29
„ტორპედო“	24	11	7	6	29—23	29
„დინ.“ მ.	24	11	6	7	33—24	28
ცსკა	24	9	7	8	28—25	25
„შახტიორი“	22	8	8	6	35—23	24
„დინ.“ მნ.	23	8	6	9	27—26	22
„ტავრია“	24	8	6	10	23—33	22
„ქაირათი“	24	7	8	9	30—33	22
„ნეფთჩი“	24	6	10	8	21—35	22
„ყუბანი“	24	8	5	11	30—33	21
ასკ რ.	24	6	8	10	24—35	20
„ჩერნომ.“	23	7	5	11	20—29	19
„ზენიტი“	23	6	7	10	23—29	19
„არარატი“	23	6	7	10	23—33	19
„დნეპრი“	23	7	4	12	29—43	18
„ფახთაქ.“	24	3	4	17	17—41	10

● „სიჭაბუკის თასზე“

ჭინჭარაულის 4 გოლი

თბილისის სტადიონებზე გრძელდება საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზის „სიჭაბუკის თასის“ ფინალური გათამაშება.

ტურნირის პირველ დღეს სომხეთის ფეხბურთელებმა წარმატებას მიაღწიეს მოსკოვის გუნდთან მატჩში — 1:0, ხოლო საქართველოს ნაკრებმა ფრედ ითამაშა უკრაინის ძლიერ გუნდთან — 1:1. ამდენად, II ტურის მატჩს საქართველოსა და სომხეთის გუნდებს შორის ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

უნდა ითქვას, რომ წინა შეხვედრაში უკრაინელებთან მასპინძელთა ნაკრებმა ვერ გამოავლინა თავისი სრული შესაძლებლობანი, იგრძნობოდა ზედმეტი ნერვიულობა, ამჯერად კი ჩვენმა ფეხბურთელებმა შესანიშნავად ითამაშეს და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს.

სულ რამდენიმე წუთის დაწყებული იყო თამაში, როცა მასპინძელთა სწრაფი, ხშირი იერიშების შემდეგ ანიაშვილი სახიფათოდ გავიდა მეტოქის მეკარის პირისპირ და გახსნა ანგარიში — 1:0. ამ წარმატებას მოჰყვა ახალი იერიშები, საქართველოს ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ჭინჭარაული მინდვრის სიღრმიდან გავიდა მოპირდაპირის საჯარიმო მოედანზე და ზუსტად დაარტყა — 2:0.

მცირე ხანს შემდეგ იმავე ჭინჭარაულმა მესამედ აიღო სომხეთის ნაკრების კარი, ტაიმის ბოლოს კი შალამბერიძემ ზუსტად გამოიყენა პენალტი — 4:0.

შესვენების შემდეგ სომხეთის ნაკრებმა შესამჩნევად გამოაცოცხლა თამაში, გუნდმა რამდენიმე სახიფათო იერიში განახორციელა, მაგრამ ვერ შეძლო მოპირდაპირე დაცვის წინააღმდეგობის დაძლევა, შემდგომში კი ინიციატივას კვლავ საფუძვლიანად დაეუფლნენ მასპინძლები, რის შედეგად ჭინჭარაულმა ჯერ იმარჯვა რამდენიმე მოპირდაპირე მცველთან ბრძოლაში, შემდეგ კი კარგად შესრულა პენალტი — 6:0.

მხოლოდ ამის შემდეგ, უკანასკნელ წუთებზე, ვასილიანმა გაიტანა ერთადერთი საპასუხო გოლი.

ამ დღეს გაიმართა კიდევ 2 მატჩი. მოსკოველებმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაამარცხეს „შრომითი რეზერვების“ ნაკრები — 2:1, ხოლო უკრაინისა და ლიტვის გუნდების შეხვედრაში აშკარა უპირატესობა უკრაინელთა მხარეს იყო — 3:0.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
საქართველო	2	1	1	0	7—2	3
უკრაინა	2	1	1	0	4—1	3
მოსკოვი	2	1	0	1	2—2	2
სომხეთი	2	1	0	1	2—6	2
„შრ. რეზერვ.“	2	0	1	1	1—2	1
ლიტვა	2	0	1	1	0—3	1

* * *

სურათებზე: თქვენ ხედავთ „სიჭაბუკის თასის“ გათამაშების ამსახველ მომენტებს. მარცხნივ — უკრაინისა და ლიტვის კოლექტივების შეხვედრაში აშკარა იყო უკრაინელთა უპირატესობა. ამ მომენტშიც შეტევაზეა უკრაინელთა გუნდის წევრი; მარჯვნივ, ზევით — მოსკოვისა და „შრომითი რეზერვების“ გუნდების შეხვედრის მომენტი; საქართველოს ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ითამაშეს სომხეთის გუნდთან და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს. მასპინძელი მოთამაშეები სიხარულს გამოხატავენ მორიგი გატანილი გოლის შემდეგ.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი

სამხრეთ ამერიკა, II ჯგუფი

მონტევიდეო. ურუგვაის ნაკრებმა აქ მიიღო კოლუმბიის გუნდი და გამარჯვებას მიაღწია უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ — 3:2.

ამ შესარჩევ ჯგუფში გათამაშების ცხრილი ახლა ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ურუგვაი	1	1	0	0	3—2	2
პერუ	1	0	1	0	1—1	1
კოლუმბია	2	0	1	1	3—4	1

ჯაკარტა. აზიისა და ოკეანიის ზონის პირველ ჯგუფში გაიმართა შესარჩევი მატჩი ინდონეზიისა და ფიჯის კუნძულების ნაკრებ გუნდებს შორის. ინდონეზიელები წინ იყვნენ ანგარიშით 3:1, მაგრამ ფიჯის კუნძულების გუნდმა მეორე ტაიმში შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 3:3.

7 მატჩის შემდეგ ამ ჯგუფში ახალი ზელანდიის გუნდს 12 ქულა აქვს.

მოკლედ

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრებისთვის მზადების მიზნით ევროპაში გაიმართა რამდენიმე ამხანაგური მატჩი.

შვეციის ფეხბურთელებმა სტოკჰოლმში მიიღეს ბულგარეთის გუნდი და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

ოსლოში ნორვეგიისა და ნიგერიის ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

ფინეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა ტამპერეში მიიღო დანიის გუნდი. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს დანიელებმა — 2:1.

I ლიგა

გუშინ გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელებმა შინ მიიღეს ვორონეჟის „ფაკელი“. მატჩი მასპინძლების უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით (3:2) დამთავრდა.

ლანჩხუთში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „გურია“ და I ლიგის ერთპიროვნული ლიდერი — ხარკოვის „მეტალისტი“.

საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურმა გუშინ, სამწუხაროდ, კვლავ არ დააკავშირა რედაქცია ლანჩხუთთან, ამის გამო ამ მატჩის შედეგს ვერ გაწვდით.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

უეფა-მ ასე გაანაწილა

ბერნში გაიმართა უეფა-ს აღმასკომის სხდომა, სადაც გამოცხადდა უეფა-ს 1982-83 წლების თასის გათამაშებაში ვაკანსიების მიკუთვნების ცნობა.

ამ შეჯიბრებაში 4-4 გუნდით გამოვლენ ინგლისი, ესპანეთი და გფრ, 3-3 ადგილი მიეკუთვნა სსრ კავშირს, გდრ-ს, ბელგიას, საფრანგეთს და ჰოლანდიას, 2-2 ადგილი — ავსტრიას, შვეიცარიას, იუგოსლავიას, უნგრეთს, შოტლანდიას, პორტუგალიას, ბულგარეთს, საბერძნეთს, შვეციას, პოლონეთს და რუმინეთს, თითო ადგილი — დანიას, ლუქსემბურგს, ირლანდიას, ნორვეგიას, კიპროსს, ჩრ. ირლანდიას, მალტას, ალბანეთს, ფინეთს, ისლანდიასა და თურქეთს.

ურუგვაელთა წარმატება

უკანასკნელი მარცხი ურუგვაის ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა 1980 წლის აგვისტოში იწვნია ბრაზილიის გუნდთან. მას შემდეგ უკვე 14 მატჩია ურუგვაელებს არ წაუგიათ. „მუნდიალიტოს“ ტურნირის ჩათვლით ურუგვაელებმა 12-ჯერ გაიმარჯვეს და 2 ფრეს მიაღწიეს ბურთების შესანიშნავი შეფარდებით 37:9. გატანილი გოლების უმრავლესობა მოდის ორ ფეხბურთელზე: ვიქტორინოზე — 9 და ხულიო ცეზარ მორალესზე — 7.

ა. ფრანკის აზრით

უეფა-ს პრეზიდენტი, იტალიელი არტემიო ფრანკი თავის ერთ-ერთ უკანასკნელ გამოსვლაში შეეხო მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობის საკითხს: „ჩემი აზრით, ფინალურ სტადიაში მონაწილე გუნდების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 16-ს, შესაძლებელია მათი რიცხვი რვამდეც კი შემცირდეს. 24 გუნდის მონაწილეობა ფეხბურთის განვითარებას კი არა, მისი დონის დაქვეითებას შეუწყობს ხელს“.

კარგი თამაში, ეს საერთო საქმეა

● სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში

სსრ კავშირის 44-ე საფეხბურთო ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ახლა თითქმის თითოეული მატჩის შედეგს დიდი მნიშვნელობა აქვს სატურნირო ცხრილში გუნდების საბოლოო განლაგებისათვის. პირველობის ამ ეტაპზე, ბუნებრივია, გაიზარდა მსაჯობის როლიც. არბიტრებზე დიდადაა დამოკიდებული ბრძოლისათვის ნორმალური პირობების, ჯანსაღი სპორტული მეტოქეობის ვითარების შექმნა მინდორზე, სადაც ფეხბურთელებს შეეძლებათ ყოველმხრივ გამოავლინონ თავიანთი ოსტატობა.

ბოლო ტურებში, სამწუხაროდ, კარგი მსაჯობის საერთო ფონზე ზოგიერთ არბიტრს შეცდომები ჰქონდა.

ასე მაგალითად, ვერ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობებს ვ. კუზნეცოვმა „არარატისა“ და „სპარტაკის“ მატჩში. მისმა დაბნეულობამ გამოიწვია ის, რომ თამაში მეორე ტაიმში გადაიზარდა უხეშობაში. როგორც აღნიშნა მატჩის ინსპექტორმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ნ. ბალაკინმა, არბიტრმა დაუშვა შეცდომები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს თამაშის შედეგზე. ვ. კუზნეცოვს მსაჯობა აეკრძალა 2 თვით.

არასწორად იმსაჯეს „ტორპედო“ — „ნეფთჩის“, „სპარტაკი“ (კოსტრომა) — „დინამოს“ (სტავროპოლი), ასკ (კიევი) — „გურიის“. მატჩები ამ შეხვედრათა მთავარმა მსაჯებმა კ. ვიხროვმა, ვ. ჩეკასმა და ი. ვერეიკინმა, რისთვისაც მათ გაფრთხილება მიეცათ.

გ. გალიკოვს მიუთითეს იმის გამო, რომ მან „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩში წესების დარღვევისთვის გააფრთხილა დინამოელი რ. შენგელია და უყურადღებოდ დატოვა სპარტაკელი ო. რომანცევის საქციელი, რომელიც იმსახურებდა ასეთივე სასჯელს.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ და სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ ყველა მსაჯის ყურადღება მიაპყრეს არსებულ ნაკლოვანებებზე და მოითხოვეს აიმაღლონ პირადი პასუხისმგებლობა მათ მიერ ჩატარებულ შეხვედრათა ხარისხისთვის.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ ზოგიერთი მწვრთნელი და მოთამაშეები ცდილობენ პასუხისმგებლობა მოიხსნან თავიანთი წარუმატებლობისთვის და ბრალი დასდონ არბიტრებს, რის გამოც მსაჯობის გარშემო ხშირად იქმნება ხელოვნურად გაზრდილი აჟიოტაჟი.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია და სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო მოუწოდებენ ოსტატთა გუნდების ყველა მწვრთნელსა და მოთამაშეს გააკეთონ ყველაფერი, რათა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები წარიმართოს მაღალ სპორტულ დონეზე. თამაშების ნორმალური ჩატარება თანაბრად დამოკიდებულია როგორც მსაჯობის ხარისხზე, ისე ფეხბურთელთა მაღალ დისციპლინაზეც.

ავტოგრაფი

ვიტალი დარასელია

დაიბადა 1957 წლის 9 ოქტომბერს, ოჩამჩირეში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. სკკპ წევრობის კანდიდატი. გუნდის კომორგი. სიმაღლე 173 სანტიმეტრი, წონა 71 კილოგრამი. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი.

— გაიხსენეთ როგორ გაიტანეთ დიუსელდორფში „გამარჯვების გოლი".

— ბურთი საჯარიმო მოედანთან მივიღე. ჩემს წინ ჰოპე იყო. ცრუ მოძრაობით უკან მოვიტოვე და საჯარიმო მოედნის ხაზი გადავკვეთე. ამ დროს ჩემსკენ გამოემართა შნუპხაზე. კვლავ ცრუ მოძრაობა გავაკეთე, მკვეთრად შემოვბრუნდი მარცხნივ და წინ გავიჭერი. შნუპხაზემ წონასწორობა დაკარგა და დაეცა... მეკარე გრაპენტინს 17-15 მეტრი მაშორებდა, საჭირო იყო კიდევ ორი ნაბიჯის გაკეთება და დარტყმა, მაგრამ შევამჩნიე, რომ მარჯვენა მხრიდან სწრაფად მიახლოვდებოდა ერთ-ერთი მცველი, იგი აშკარად ხელს შემიშლიდა, მაგრამ ამ დროს გაჩნდა ნუკრი კაკილაშვილი და მცველი „ჩაკეტა". ორი ნაბიჯით წინ წავიწიე, ვიგრძენი, რომ გრაპენტინმა კოორდინაცია დაკარგა, ბურთი მარცხენა ფეხთან მქონდა, მთელი ჩემი ძალა და მონდომება იმ დარტყმაში ჩავაქსოვე...

— რასაკვირველია დიუსელდორფში თქვენს მიერ გატანილი გოლი, ყველაზე მეტად დაგამახსოვრდებოდათ, მაგრამ იქნებ კიდევ გაიხსენოთ თქვენი ცხოვრებიდან რაიმე ღირსშესანიშნავი ეპიზოდი?

— რატომაც არა. 1978 წლის 27 სექტემბერს ნეაპოლში ვხვდებოდით „ნაპოლის". თამაშის წინ ვიხუმრე — ვიცი, დღეს ჩემს მეუღლეს ბიჭი შეეძინება და ვინც გოლს გაიტანს, იმის სახელს დავარქმევ მეთქი. რახან იმ თამაშში გოლი მე გავიტანე და იმ დღეს მართლაც ბიჭი შემეძინა, სიტყვა სიტყვაა — ვაჟიშვილს ვიტალი დავარქვი. ვიტალი ახლა 3 წლისაა, მის გარდა გვყავს 4 წლის გოგონა ქრისტინე...

— ფეხბურთელის თქვენი იდეალი?

— პელე.

— რას იტყვით საბჭოთა ფეხბურთზე?

— ჩვენი გუნდების უმეტესობას ძალისმიერი ფეხბურთი ახასიათებს, რაც სილამაზეს უკარგავს თამაშს. ეს გუნდები ცდილობენ რაღაც ფორმულებს დაემორჩილონ, ფეხბურთი კი მაშინ არის ლამაზი, როცა თამაში სავსეა მოულოდნელობებით, ახალ-ახალი, მაღალტექნიკური ელემენტებითა და არასტანდარტული სიტუაციებით. ყოველივე ეს ახასიათებს თბილისის „დინამოს".

— რას იტყვით უცხოურ სპორტულ პრესაზე?

— იგი ხშირად ცალკეულ ფეხბურთელს უკეთებს რეკლამას. არ ერიდება ამა თუ იმ გუნდისა თუ მწვრთნელის ლანძღვას, შეურაცხყოფასაც კი და ამას „პირდაპირობას" უწოდებენ. ხშირ შემთხვევაში წერენ ზედაპირულად, ღრმა ანალიზებით თავს არ იწუხებენ. ჭარბობს მომაბეზრებელი რეკლამა...

— გულშემატკივართა რეაქციები თუ მოქმედებს თქვენზე?

— მატჩის დროს ჩემთვის არსებობს მხოლოდ ბურთი და მოედანი.

— როგორ წარმოგიდგენიათ ფეხბურთის მომავალი?

— ჩემი აზრით, რაგორც არ უნდა გაიზარდოს ფიზიკური დატვირთვა, გაიმარჯვებს შემოქმედებითი, ტექნიკური ფეხბურთი.

— რომელი ქვეყნის გულშემატკივრები მიგაჩნიათ სამაგალითოდ?

— იტალიის, ინგლისის, ესპანეთის. ამ ქვეყნებში თამაშის პირველი წუთიდან ბოლომდე გულშემატკივრობენ საკუთარ გუნდს, მნიშვნელობა არა აქვს იგებენ ისინი თუ აგებენ. კარგი იქნებოდა ჩვენი სამართლიანი და ფეხბურთის მცოდნე გულშემატკივრებიც ასეთები იყვნენ. სასიამოვნოა, როცა ტრიბუნები მხარს გიჭერენ და გამხნევებენ წაგების შემთხვევაშიც კი.

— აკი თქვით, გულშემატკივარი ჩემზე არ მოქმედებსო?

— ჩემს გარდა მინდორზე კიდევ 10 ფეხბურთელია...

— ვის მიუძღვის წვლილი თქვენს ფეხბურთელად ჩამოყალიბების საქმეში?

— რა თქმა უნდა, თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობას უნდა ვუმადლოდე, მაგრამ ყოველთვის დიდი სიყვარულით ვიხსენებ ოჩამჩირეს, 1967 წელს, როცა ფეხბურთის თამაში დავიწყე. მადლიერი ვარ საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის ბონდო კაკუბავასი.

— თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს თანამედროვე ახალგაზრდა?

— უნდა უყვარდეს სამშობლო, ოჯახი, მეგობრები, თავისი საქმე, ტყუილის თქმა ეჯავრებოდეს, მეგობარს არ ღალატობდეს...

— რა გიყვართ?

— ეს ფართო მცნებაა, გააჩნია რას გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა, ჰობის.

— მიყვარს მხატვრული ლიტერატურა, მუსიკა, განსაკუთრებით იტალიური. მიყვარს ბალეტიც.

— თამაშის დღეს რას აკეთებთ ხოლმე?

— მატჩის დღეს საერთოდ ცოტას ვლაპარაკობ. თამაშის დაწყებამდე 4-5 საათით ადრე მარტო ვრჩები. ჩავრთავ ხოლმე მაგნიტოფონს, საათობით ვუსმენ მუსიკას...

— თუ არსებობს ფეხბურთში მეტოქის შებრალება, დანდობა?

— ცხოვრებაში კი ბატონო, მაგრამ ფეხბურთში, მინდორზე ასეთი რამ არ არსებობს, ვინც თმობს ის აგებს!

— თქვენი ყველაზე თავგამოდებული გულშემატკივარი?

— მამაჩემი. მართლაც თავგამოდებული გულშემატკივარი იყო. უფრო მეტიც, იგი იყო ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული კაცი და საოცრად მტკივნეულად განიცდიდა ჩემს წარმატებას თუ მარცხს. მამაჩემი ომიდან პირველი ჯგუფის ინვალიდი დაბრუნდა. სულ მუდამ ოცნებობდა, რომ მე და ჩემი უმცროსი და-ძმა ფიზიკურად და ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანები ვყოფილიყავით...

— რას უსურვებთ ფეხბურთის გულშემატკივრებს?

(პასუხი ხელით დაწერა).

საუბარი ჩაიწერა
თ. ჟღენტმა.

● ● ●

სურათზე: (ზევით) გამარჯვების გოლი თასების მფლობელთა თასის ფინალურ მატჩში (ფოტო ჩეხოსლოვაკიურ ჟურნალ „სტადიონიდან"); (ქვევით) ვ. დარასელია ქრისტინესთან და პატარა ვიტალისთან ერთად.

ქ. შანიძის ფოტო.

სიხარულსა და ბედნიერებას ვუსურვებ
ყველა ნამდვილ გულშემატკივარს!
ვიტალი დარასელია.

„მეგობრობის" ტურნირზე

ბულგარეთის ქალაქ პლევენში დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების ჭაბუკ მოჭიდავეთა ტურნირი — „მეგობრობა". შეჯიბრებაში, რომელშიც 17-18 წლის თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეები მონაწილეობდნენ, ამჯერად 10 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ, რაც „მეგობრობის" მზარდ პოპულარობაზე მეტყველებს.

თავისუფალი სტილის ფალავანთა შორის ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდათ საბჭოეთის წარგზავნილებს — 7 ოქროსა და 2 ვერცხლის მედალი.

„კლასიკოსთა" შეხვედრებში თავიდან გამოირჩეოდნენ რუმინეთის, უნგრეთისა და პოლონეთის წარმომადგენლები, ფინიშზე კი საგრძნობლად გამოასწორეს მდგომარეობა მასპინძლებმა და 8 ოქროს მედალი მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა გუნდში მხოლოდ 8 სპორტსმენი იყო. მათგან ოქროს მედალი მოიპოვა ერევნელმა კ. კაჩარიანმა (60 კგ). ქართველმა ჭაბუკმა გოჩა ბარბაქაძემ (75 კგ) და აბაკანელმა ა. ბორგოიაკოვმა (81 კგ) ვერცხლის მედლები მოიხვეჭეს. შახტელი ვ. კოსობოკოვი (48 კგ) მესამე ადგილზე გავიდა.

● საქართველოს სპორტსმენთა წარმატება

აფროსანთა ასპარეზობა

ოდესაში დამთავრდა საბჭოთა კავშირის საზღვაო და სამდინარო ფლოტის სამინისტროს სპეციალური სასწავლებლების პირადგუნდური პირველობა აფროსნობაში.

დიდ წარმატებას მიაღწიეს ბათუმის საზღვაო სასწავლებლის კურსანტებმა (მწვრთნელი ვ. კალფა), რომლებმაც გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავეს. II და III ადგილები წილად ხვდათ ხერსონისა და ოდესის წარმომადგენლებს.

ბათუმელებმა კარგად იასპარეზეს პირად ჩათვლაშიც — ჩემპიონები გახდნენ: „470" კლასში — ს. ბოგაჩოვი და მ. სერებრიაკოვი, „ფინის" კლასში — სპორტის ოსტატი ი. ბოგაჩოვი.

ო. მურვანიძე.

● კალათბურთი

ნ. დერიუგინი—ყველაზე შედეგიანი

რიო-დე-ჟანეირო. აქ გამართულ კალათბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე საბჭოთა კავშირის სტუდენტთა ნაკრებმა ანგარიშით 104:87 მოუგო იუგოსლავიის ჩემპიონს „ციბონას". **ამ მატჩში თავის გუნდს ყველაზე მეტი (26) ქულა შესძინა თბილისელმა ნ. დერიუგინმა.** აქვე ბრაზილიის გუნდმა დაამარცხა მექსიკის კოლექტივი — 99:76. მანამდე საბჭოთა სტუდენტებმა მეხიკოში მოუგეს მექსიკის ეროვნულ ნაკრებს — 99:76.

მეორე ტურში ჩვენი სტუდენტების მეტოქე იყო მექსიკის ნაკრები. საბჭოთა სპორტსმენებმა კვლავ გაიმარჯვეს — 108:80. **ამ შეხვედრაშიც ყველაზე შედეგიანი იყო დერიუგინი, რომელმაც გუნდს 28 ქულა შესძინა.** ზაგრების „ციბონამ" მოუგო ბრაზილიის ნაკრებს — 87:76.

მანილაში საერთაშორისო შეხვედრებს ატარებს საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრები. მან ფილიპინების გუნდებთან 3 შეხვედრა გამართა, მათ შორის პროფესიონალებთანაც და სამივე მოიგო: ჯერ დაამარცხა სამოყვარულო ლიგის ჩემპიონი „აპკორი" —86:83, შემდეგ—პროფესიონალთა ლიგის ჩემპიონი „კრუსპა" — 107:85 და პროფესიონალთა წლევანდელ პირველობაში გამარჯვებული „ტიოტა" — 114:71.

პანორამა

● მძლეოსნობა

ბეტებორგში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს ამერიკელმა სპორტსმენებმა. გ. ფოსტერმა მოიგო 110 მეტრზე თარჯრბენი — 13,44, ჯ. პაულენმა — ბადროს ტყორცნა — 65,24 მ, 400 მეტრზე რბენაში იმარჯვა შვედმა ე. ეშმა — 46,29, ხოლო 3000 მეტრზე წინაღობებით ასპარეზობაში პირველი იყო ესპანელი დ. რამონტი — 8.23,79.

● ველოსპორტი

სლოვაკიის გზებზე გრძელდება მრავალდღიანი ველორბოლა. I ეტაპზე (159 კმ) წარმატებას მიაღწია ტალინელმა რ. სუუნმა — 3:50.17. გორკელი ი. ბარინოვი უძლიერესი იყო მეორე ეტაპზე. მან 144 კმ 3:43.14-ში დაფარა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: მშვიდობის წლევანდელ ველორბოლაში გამარჯვებული შ. ზაგრეტდინოვი (ტაშკენტი) და კუიბიშეველი ა. ვედერნიკოვი. მესამე ეტაპზე (172 კმ) კვლავ ბარინოვმა იმარჯვა — 4:29.54. სამი ეტაპის შემდეგ ლიდერის მაისურს ინარჩუნებს ა. ვედერნიკოვი.

● ცურვა

მილუოკიში მიმდინარეობს აშშ-ის მოცურავეთა ჩემპიონატი. 16 წლის ამერიკელმა მ. მიგერმა გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში (2.06,37). მან 2.05,69 აჩვენა.

აღსანიშნავია, რომ მიგერმა ზედიზედ მეხუთედ მიაღწია ამგვარ წარმატებას 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში. გარდა ამისა, მასვე ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი ამავე სახეობაში 100-მეტრიან დისტანციაზე.

● რეგბი

ვეტერანთა მატჩი

ამას წინათ მოსკოვში, „ფილის" სტადიონზე გაიმართა მოსკოვისა და თბილისის ვეტერან რეგბისტთა ამხანაგური მატჩი.

მოსკოველთა შორის იყვნენ სსრ კავშირის რეგბისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ი. ეტკო, იმავე გუნდის ყოფილი მწვრთნელები ს. ანტონოვი და ვ. სოკოლოვი, ჩვენი ქვეყნის პირველი ჩემპიონები ს. გრიგორიანცი, ვ. გავრილოვი და სხვები.

თბილისელთა რიგებში გამოდიოდნენ: გ. ტონია (მწვრთნელი-მოთამაშე), ი. კიზირია, თ. რუხაძე, ს. კეშელავა, ი. ჯოხაძე, მ. ნიკარაძე, ვ. კაპანაძე, თ. გორგოძე, მ. გეგეშიძე, ნ. კოტრიკაძე, ვ. თოფურია, ვ. ფურცელაძე, ი. ბერძენიშვილი, ნ. ბუგიანაშვილი, გ. ლადუა, თ. ბენდიაშვილი, ბ. გვალია, თ. მენაბდე, გ. ტატიშვილი, გ. სუთიაშვილი და ნ. კაჭარავა.

გუნდებმა 20-20-წუთიანი 3 ტაიმი ითამაშეს. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 20:19.

მატჩი მიეძღვნა ფიზკულტურელის დღეს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, კოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
ИНДЕКС 66435
უე 14554